



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1827
26/10/2018

ქალაქი ბათუმი

1827-05-4-201810261155



მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაშიძის 2018 წლის 25 ოქტომბრის №3087-05 მოხსენებით ბარათის თანახმად ვბრძანებ:

1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მირზა ბახტაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ანა ბაქაშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

დ) ომარ დუმბაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

ე) გულვარდი ევგენიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი.

2. დაევალოს კომისიას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განახორციელოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაცია და მასთან დაკავშირებული სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისათვის კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 19 ოქტომბრის №1824 ბრძანება.

4. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ პირებზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

